

„Sakaertwelos konstituia. Sepudwlebisa da schinaersis mimochilwa“
(Georgische Verfassung. Grundlagen- und Inhaltsübersicht)
Verfassungsschutzliga Georgiens, Sprache - georgisch, Auflage - 3 000

საქართველოს კონსტიტუციის დაცვის ლიტა


საქართველოს კონსტიტუცია

საუბელებისა და შინაარსის მიმოხილვა

სემინარი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო
სკოლების მასწავლებელთათვის

A 98 - 04833

თბილისი, 1997 წ.



სემინარი მომზადდა საქართველოს კონსტიტუციის დაცვის ლიგის მიერ ფრიდრიხ ებერტის ფონდისა და საქართველოს განათლების სამინისტროს მხარდაჭერით. მისი დანიშნულებაა დახმარება გაუწიოს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების იმ მასწავლებლებს, რომლებიც ასწავლიან საქართველოს კონსტიტუციას. სემინარის მასალების გამოცემა და რვა ორდღიანი სემინარის ჩატარება თბილისსა (2 სემინარი) და ექვს რეგიონულ ცენტრში დაფინანსა ფრიდრიხ ებერტის ფონდმა.

© ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში, 1997

ისტორიული წინამძღვრები და ძირითადი პრინციპები

იური ტაბუცაძე

ისტორიული ბუნებრივობის გამო ქართველ ხალხს ამ საუკუნეში ორგზის მოუხდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება, ორგჯერ იქნა მიღებული კონსტიტუციაც — დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძველი, მისი ძირითადი კანონი. ცნობილია, რომ კონსტიტუცია მხოლოდ ერის ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოხატულება კი არ არის, არამედ მისი პოლიტიკური მისწრაფებისაც. ორივე კონსტიტუცია, მიუხედავად მათი გარკვეული განსხვავებისა, ეფრინება დასავლური ცივილიზაციის წიაღში შექმნილ „სამართლებრივი სახელმწიფოს“ თეორიას, რაც უშვებელს ხდის ქართველი ხალხის მიერ არჩეულ პოლიტიკურ გეზს.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს, საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ჯარის მიერ თბილისის აღებაზე ორიოდე დღით ადრე მიიღო. დამფუძნებელი კრების წევრებმა კარგად უწყობდნენ, რომ პირველ კონსტიტუციას ამოქმედება არ უწერა, მაგრამ მტკიცედ სწამათ, რომ მომავალ თაობებს შეუქმნეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის მგარი სამართლებრივი საფუძველი. ჩვენს ერს სამართლიანად შეუძლია იამაყოს თავისი პირველი კონსტიტუციით; უკლებლივ ყველა უცხოელი ექსპერტის აზრით, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია სრულიად ახალი სიტყვა იყო იმ პერიოდის მსოფლიოს კონსტიტუციურ სამართალში. ამასთან, იგი სიმბოლური სამართლებრივი აქტი კი არა, რეალურად არსებული სახელმწიფოს ძირითადი კანონი იყო.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას გააჩნდა სახელმწიფოს უზენაესობისათვის დამახასიათებელი ყველა აუცილებელი ნიშანი: რეალურად ფლობდა ეროვნულ ტერიტორიასა და ბუნებრივ რესურსებს, დამოუკიდებლად განსაზღვრავდა ხელისუფლების ფორმასა და მმართველობის წესს, ეწეოდა დამოუკიდებელ საკანონმდებლო მოღვაწეობასა და სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას, ჰქონდა საკუთარი ფული და ჰყავდა საჯარისო ტენაერობები, უზრუნველყოფდა სახელმწიფო უმიმრობას, საზღვრისა და ტერიტორიის დაცვას, დამოუკიდებლად მონაწილეობდა საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში და, დასასრულ, იგი დე-იურე აღიარებული იყო მრავალი სახელმწიფოს, მათ შორის რუსეთის ფედერაციის, ხოლო დე-

ფაქტორ - იმფაინდელი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის - ერთა ლიგის - მიერ.

1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის ფედერაციამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ პირდაპირი აგრესია განახორციელა შეიარაღებული ინტერვენციის ფორმით, რაც საქართველოს ფაქტობრივი ანექსიით და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ცხოვრების 70-წლიანი წყვეტით დასრულდა.

ზოგიერთი ცდილობდა დაამტკიცონ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ცხოვრება არ შეწყვეტილა, ვინაიდან საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია საქართველოს სუვერენულ საბჭოთა რესპუბლიკად აცხადებდა. ეს დებულება გაუგებრობაზე აგებული და მის, როგორც წესი, საქართველოს რესპუბლიკის სსრკ-ს დაშლის შედეგად წარმოქმნილ სახელმწიფოდ აღიარების მომხრე იშველიებენ. 1921 წლის მომდევნო პერიოდის საქართველოს სამართლებრივი მდგომარეობის შეფასება მოცემულია თვით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებაში, რომლის თანახმადაც, 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა შეიარაღებული აგრესიის გზით მიახდინა საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდგომი მოქვეა მისი ფაქტობრივი ანექსია. ეს არ არის მხოლოდ ისტორიული ფაქტის სამართლებრივი შეფასება. საქმე ის არის, რომ ანექსია განგრძობილი საერთაშორისო სამართლებრივი დელიქტია და წყდება მხოლოდ ანექსიის შედეგების ლიკვიდაციის შემთხვევაში. ამ დადგენილების მიღებით უზენაესმა საბჭომ დადასტურა როგორც თავისი, ასევე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნისა და არსებობის უკანონობა, რითაც შექმნა დემოკრატიულ საფუძველზე მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების სამართლებრივი საფუძველი. მართალია, სსრკ სახალხო დებუტატთა ყრილობას არ უღიარებია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს შემოსწინებული დადგენილება, მაგრამ არც გაუუქმებია იგი, რაც ფაქტის აღიარების ტოლფასია.

1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული მრავალპარტიული არჩევნების შედეგად შექმნილმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 31 მარტს ჩაატარა რეფერენდუმი, რომლის შეითხვაც ზუსტად და სწორად იყო დასმული: „თანახმა ხართ თუ არა, ადგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“, რასაც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ დადებითი პასუხი გასცა. რეფერენდუმის შედეგი საქართველოს სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის ერთადერთი სამართლებრივი საფუძველია. საქართველოს

მოსახლეობამ მოითხოვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უფლებამოსილებების აღდგენა, რომლის სამართლებრივ სტატუსს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია განსაზღვრავდა. ყოველივე შემდგომი აქტი, რომელიც რეფერენდუმის შედეგს არ ითვალისწინებს, არ შეიძლება სრულფასოვან სამართლებრივ აქტად ჩითვალოს. რეფერენდუმის ჩატარება და მისი შედეგი - 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება - წინ უსწრებდა 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებ გამოცხადებულ აქტს, რის გამოც ამ აქტითად გამოზღინიერ სამართლებრივი შედეგები საქართველოსთვის არ არის სავალდებულო.

ვფიქრობთ, ამავე არგუმენტებით ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტი, როდესაც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას დაავალა საქართველოს ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავებინა 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რაც თავისთავად გულისხმობდა იმ ძირითად დებულებათა გაზიარებას, რომლებიც 1921 წლის კონსტიტუციის ჩონჩხს ქმნიან.

ზემოთ ითქვა, რომ როგორც 1921 წლის, ასევე 1995 წლის კონსტიტუციები „სამართლებრივი სახელმწიფოს“ თეორიას ეფუძნებიან. ამ თეორიის უმთავრესი პოსტულატია სამართლით სახელმწიფოს შეზღუდვის დედა. საქართველოს ავტონომიური კონსტიტუცია, ისევე როგორც 1921 წლისა, უპირობოდ იზიარებს ამ ფუნდამენტურ დებულებას. საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლში გაცხადებულია: „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში“ (ასეთივე შინაარსის დებულებას შეიცავს 1921 წლის კონსტიტუციის 52-ე მუხლი). ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ანუ ერთნაირი სუვერენიტეტის წყაროა ხალხი, რომელიც ძალაუფლებას ახორციელებს მის მიერვე არჩეული წარმომადგენლობითი ხელისუფლების მეშვეობით, ხოლო ამ უკანასკნელის უფლებამოსილების ფარგლები შემოსაზღვრულია სახელმწიფოს ძირითადი კანონით - კონსტიტუციით.

„სამართლებრივი სახელმწიფოს“ თეორიას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები აბსოლუტურ, გარდაუვალ ღირებულებად მიიჩნევა. ამ უფლებათა და თავისუფლებათა მატერიალური (კონსტიტუციური) სამართლის ნორმებში დაფიქსირება ქმნის პიროვნების მიმართ სახელმწიფოს შესაძლო ძალმომრეობის შებოჭვის სამართლებრივ გარანტიას. საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია, მსგავსად 1921 წლის კონსტიტუციისა, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს უშუალოდ მოქმედ სამართლად აღიარებს. კერძოდ, კონსტიტუციის მე-7 მუხლში ნათქვამია: „ხელისუფლების

განზორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლების ნებისმიერი აქტი, რომელიც ზღვრავს კონსტიტუციის მე-2 თავში დაფიქსირებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერ აქტად.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის თანახმად, ხალხი (ერი) თავის სუვერენიტეტს ახორციელებს მის მიერვე არჩეული წარმომადგენლობითი ხელისუფლების მეშვეობით. მაგრამ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ სახელმწიფო ხელისუფლებამ ხალხისავე სახელით მოახდინოს ხალხის უფლებათა და თავისუფლებათა უზურპაცია, რის გამოსარიცხადაც აუცილებელია მისი დანაწილება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო განშტოებათა შორის, რომელთა უფლებამოსილებანი საკმარისად უნდა იყოს გამოყვანილი კონსტიტუციური სამართლის ნორმებით. ხელისუფლების პირველი შტო კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში ახორციელებს კანონმდებლობას და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლს, მეორე, ასევე კონსტიტუციით მინიჭებულ ფარგლებში, ახორციელებს სახელმწიფოს მართვას, ხოლო მესამე - მართლმსაჯულებასა და კონსტიტუციურ კონტროლს. ხელისუფლების სამეფე შტოს საკმარისად დამოუკიდებელი ფუნქციონისა და ურთიერთკონტროლის კონსტიტუციური უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს მიმართ სამართლის პრინციპის პრიციპის რეალური განხორციელება.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციამ საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკად გამოაცხადა (მუხლი 52). სახელმწიფოს მართვის საპარლამენტო ფორმისთვის დამახასიათებელია საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ან კონსენსუსის (შეთანხმების) საფუძველზე აღმასრულებელი ხელისუფლების (მთავრობის) შექმნა, რომელიც პოლიტიკურად პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. 1921 წლის კონსტიტუციისაგან განსხვავებით, 1995 წლის კონსტიტუციამ სახელმწიფოს მართვის საპრეზიდენტო ფორმა შემოიღო. მართვის ასეთი ფორმისთვის დამახასიათებელია პრეზიდენტის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სახელმწიფოს მეთაურის არჩევა პარლამენტისაგან დამოუკიდებლად, მთავრობის შექმნა პარლამენტისაგან თითქმის დამოუკიდებლად, პარლამენტის წინაშე მისი მინიმალური პასუხისმგებლობა.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამაც და პარლამენტშიც განსაკუთრებით მძაფრი კამათი სწორედ მართვის პოლიტიკური ფორმისა და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თაობაზე გაიმართა.

პარლამენტის მიერ 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციის მიღება შესაძლებელი გახდა კომპრომისის შედეგად: კონსტიტუცია აღიარებდა მართვის საპრეზიდენტო ფორმას, ხოლო ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი ღიად რჩებოდა ქვეყნის ტერიტორიული მოღიანობის აღდგენამდე. ამასთან, კონსტიტუციის მე-5 მუხლში დაფიქსირდა, რომ „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“, რაც დამატებით კონსტიტუციურ გარანტიას ქმნის იმისათვის, რომ ხელისუფლების რომელიმე განშტოებამ, განსაკუთრებით კი აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ვერ მიითვისოს სხვა განშტოებათა ფუნქციები.

საქართველოს ახალი კონსტიტუციის უდავო მიღწევად უნდა ჩაითვალოს დამოუკიდებელი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის აუცილებელი სამართლებრივი გარანტიების კონსტიტუირება და საკონსტიტუციო სასამართლოს დაწესება (თავი მეხუთე, სასამართლო ხელისუფლება). დამოუკიდებელ მართლმსაჯულებასა და საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლიათ და უნდა უზრუნველყონ კონსტიტუციური მართლწესრიგი, როგორც ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, ისე ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალური განხორციელების სფეროებში.

თამამად შეიძლება თქვას, რომ კონსტიტუციუმმა პროცესმა, რომელიც დასრულდა საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებით, საწყისი ბიძგი მისცა ჩვენს ქვეყანაში რეალური დემოკრატის დამკვიდრების პროცესს, რაც უკავშირდება ვველა ჩვენგანის სწრაფვას მშვიდობის, თავისუფლებისა და კეთილდღეობის დამკვიდრებისაკენ.

ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები

მსხვერპლად

„სამართლებრივი სახელმწიფოს“ თეორია ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს აბსოლუტურ ღირებულებად მიიჩნევს. ამ იდეას საქართველოს კონსტიტუცია ერთ-ერთ ძირითად პრინციპად აღიარებს: „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზუნაეს ადამიანურ ღირებულებებს“ (ეს იმას ნიშნავს, რომ ეს უფლებანი და თავისუფლებანი ადამიანისთვის არავის უბოძებია, ისინი მას თავისთავად აქვს და აქვს იმიტომ, რომ იგი არსებობს). „ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლი“ (მუხლი 7).

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონსტიტუციაში ასახვა ქნის მათი დაცვისა და პიროვნების მიმართ სახელმწიფოს შესაძლო ძალმომიერების შეზღუდვის სამართლებრივ გარანტიას. ბუნებრივია, ყველა უფლებასა და თავისუფლებას კონსტიტუცია ვერ ასახავს, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ საზოგადოების განვითარებისათვის ერთად თანდათან ფართოვდება საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა არე ჩვენს კონსტიტუციაში დაფიქსირებულია მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მაგრამ იმაგდროულად „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამოძღინარებენ კონსტიტუციის პრინციპებიდან“ (მუხლი 39).

ყოველივე ზემოთქმული ნიშნავს, რომ ხელისუფლების ნებისმიერი აქტი, რომელიც ზღუდავს ადამიანის როგორც კონსტიტუციაში დაფიქსირებულ, ასევე სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, არაკონსტიტუციურია და არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერ აქტად. ასეთი აქტი, სასამართლოში სათანადო სარჩელის შეტანის შემთხვევაში, მის მიერ ცხადდება ძალადაკარგულად. ცხადია, სახელმწიფო ხელისუფლების ამ ადგილობრივი თვითმმართველობის უკანონო მოქმედებამ შეიძლება მატერიალური და/ან მორალური ზიანი მიაყენოს ადამიანს. ასეთ შემთხვევაში კონსტიტუცია ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ სასამართლო წესით სრულად აუნაზღაუროს ადამიანს მიყენებული ზარალი სახელმწიფო

სასხებიდან (მუხლი 42.9). ესეც ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა.

მთელი კონსტიტუცია გამჭვალულია ადამიანთა თავისუფლებისა და თანასწორობის სულისკვეთებით: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია ...“ (მუხლი 14). კონსტიტუცია საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლებრივად ერთნაირ მდგომარეობაში აყენებს; იგი არანაირ განსაკუთრებულ უფლებას არ ანიჭებს მოქალაქეთა არც ერთ ჯგუფს, არც რაიმე ნიშნით გამოჩენულ უმცირესობას და არც უმრავლესობას. იმაგდროულად მცხვლია, ერთი მხრივ, ადამიანთა ასეთი ჯგუფების თავისუფლება, მეორე მხრივ კი სახელმწიფოს ინტერესები (მუხლი 38):

„1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედანით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.“

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.“

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, რომელთა არსებობა და ცხოვრებაში რეალურად დამკვიდრება სხვა უფლებათა განხორციელების აუცილებელი პირობაა. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათაგან ყურადღებას გაავსახვილებით იმ უფლებებსა და თავისუფლებებზე, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლესთან, მის ღირსებასა და თავისუფლებასთან, პოლიტიკურ საქმიანობასა და სახელმწიფოს მართვამთ მონაწილეობასთან, აგრეთვე იმ შემთხვევებზე, როდესაც კონსტიტუცია უშვებს ამ უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვას.

კონსტიტუციის მე-9 მუხლი სიცოცხლეს ადამიანის ხელშეუვალ უფლებად აცხადებს და იქვე უშვებს ამ უფლების შეზღუდვას: „სახელის განსაკუთრებული ღონისძიება – სკდელით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე,

შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორგანული¹ კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.“ აქ ორ არსებით მომენტს უნდა მივაკვიროთ ყურადღება: პირველი - სრულად აშკარადაა გაცხადებული მიზანი - სოციალური დასჯის გაუქმება და მეორე - მხოლოდ ისეთი დანაშაულისთვის შეიძლება სოციალური დასჯის გათვალისწინება, რომელიც უშუალოდ სიცოცხლის წინააღმდეგ არის მიმართული და, იმავდროულად, დანაშაულთა იერარქიაში ყველაზე მძიმეთა კატეგორიას მიეკუთვნება.

ადამიანის პატივი და ღირსება, მისი თავისუფლება ხელშეუვალად არის გამოცხადებული. აკრძალულია წამება, არაპატივითი, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და ასეთი ხასჯლის დაწესება და გამოყენება. აკრძალულია თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. დაუშვებელია თავისუფლებაზეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება. მას უფლება აქვს, დაკავების ან დაპატიმრებისთანავე მოითხოვოს დამცველის დახმარება და ეს მოითხოვნა აუცილებლად უნდა დაემყარებოდეს (თუ ადამიანს დამცველის დაქირავების საშუალება არა აქვს, მას სახელმწიფომ თავის ხარჯზე უნდა გამოუყოს დამცველი). იმისათვის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს ამ უფლებათა დარღვევის საშუალება არ მიეცეთ და იმითომ, რომ ყველა ადამიანმა შეიძლება ან ცხოვრებს თავისი უფლებები, კონსტიტუცია ავალდებულებს ხელისუფლების წარმომადგენელს, რომ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს მამხივებ განუმარტოს მისი უფლებები და დაკავების (დაპატიმრების) საფუძველი (შუხბელი 17, 18).

ხელისუფლების მიეკუთვნებული დევნიგან (რისი მიზეზიც, შესაძლოა, პოლიტიკური მოსაზრებები ან შურისძიებაც იყო) ადამიანის თავისუფლების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიცაა ისიც, რომ ადამიანს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ისეთი ქმედებისათვის, „რომელიც მისი ჩადენის დროს საპრობლემატიკულია და ითვლებოდა“; მას „არ შეიძლება გამწვანდეს დავლის მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის“; „კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუაღია არა აქვს“; და ბოლოს, „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას

¹ ორგანული კანონი „ჩვეულებრივი“ კანონისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი მიიღება მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელთა მოწესრიგებაც კონსტიტუციის თანახმად ორგანული კანონითაა გათვალისწინებული და პარლამენტის მიერ მისი მიღებისთვის ხმათა მეტი რაოდენობაა საჭირო, ვიდრე „ჩვეულებრივი“ კანონისთვის. ორგანული კანონს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს „ჩვეულებრივ“ კანონებთან შედარებით.

იურიდიული ძალა არა აქვს“, ეი. საჭმის განხილვისას სასამართლოს უფლება არა აქვს დაეყრდნოს ასეთ მტკიცებულებას (შუხლი 42).

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება და არავის არა აქვს უფლება, მას დაზნავე უწოდოს, ვიდრე მისი დანაშაულება არ დამტკიცდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტკუნებელი განაჩენით. კონსტიტუცია პირდაპირ აცხადებს, რომ დანაშაულის დამტკიცება უნდა მოხდეს მხოლოდ კანონით დადგენილი წესით, რომ არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა (დანაშაულის მტკიცება ბრალმდებლის მოვალეობაა), რომ საბრალდებო დასჯენა და გამამტკუნებელი განაჩენი მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს უნდა ემყარებოდეს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყვეს (შუხლი 40).

კონსტიტუცია ხელშეუხებლად აცხადებს ადამიანის პირად ცხოვრებას, მის ჩანაწერებს, მიმოწერას, სატელეფონო საუბარს და სხვ.; კრძალავს მფლობელის ნებაართვის გარეშე მის ბინასა და სხვა მფლობელობაში შესვლას და ჩხრეკის ჩატარებას. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ „სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას“. მაშასადამე, მფლობელის ნებაართვის გარეშე მის ბინაში შესვლა, განჩევვა, მისი წერილების გახსნა, სატელეფონო საუბრის მიყურადება, კომპიუტერში შენახული ინფორმაციის წაითხვა და სხვ. შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო მის გარეშე - მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, რომლებიც კანონით განსაზღვრულია როგორც „გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევები“ (შუხლი 20).

ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლება ქვეყანაში თავისუფალი მიმოხილვისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის, ქვეყნიდან თავისუფლად გასვლისა და ქვეყანაში თავისუფლად შობისთვის უფლებაა. ეს უკანასკნელი უფლება, კონსტიტუციის თანახმად, მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს აქვს, სხვა უფლებები კი - ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში. იმავდროულად, კონსტიტუცია უშვებს ამ უფლებათა კანონით შეზღუდვას შესაძლებლობას „დეპორტაციული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, უანაზღვრობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით“ (შუხლი 22). ცხადია, ასეთი ფორმულარე ხელისუფლებას შესაძლებლობას აძლევს მეტ-ნაკლებად შეზღუდოს ზემოაღნიშნული უფლებები, მაგრამ ეს შეზღუდვები აუცილებლობის ფარგლებს არ უნდა გასცდეს. მაგალითად,

ჩვენში კარგა ხანს მოქმედებდა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან შემორჩენილი ჩაწერის ნებართვით რეჟიმი, რომლის მიხედვითაც, სადღე რომ გვცხოვრია, აუცილებელი იყო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს ნებართვა. გარდა იმისა, რომ ასეთი რეჟიმი სრულად მოუღებელია დემოკრატიული საზოგადოებისთვის, იგი კორუფციისთვის ნიწიერ ნიადაგს ქმნდა. 1996 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც მოიხსნა ყოველგვარი შეზღუდვა, სავალდებულოა მხოლოდ რევისტრაცია, რიისთვისაც საქმიანისა სურველი და საცხოვრებელი ადგილის არსებობა.

კონსტიტუცია აცხადებს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის, აზრის გამოთქმისა და გავრცელების, ინტელექტუალური შემოქმედების, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლებას, რის გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა; კრძალავს ადამიანის დევნას სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მის იძულებას გამოიქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ; კრძალავს შემოქმედებით პროცესში ჩარევასა და ცნზურას, მასობრივი ინფორმაციისა და მისი გავრცელების შეზღუდვას მონაპოლიზაციისა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ კონსტიტუცია კრძალავს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვას, თუ მათი გამოვლინება არ ღაზავს სხვათა უფლებებს; დაუშვებლად მიიჩნევა შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვას, თუ მისი გავრცელება არ ღაზავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს და დასაშვებად მიიჩნევა ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების შეზღუდვას კანონით დადგენილი „ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოქმედებლობის უზრუნველსაყოფად“ (მუხლები 19, 23, 24).

იმისათვის, რომ სახელმწიფო დაწესებულებათა საქმიანობა არ გასცდეს კანონრების ფარგლებს, იგი ღია უნდა იყოს საზოგადოებისთვის. ამის უზრუნველსაყოფად კონსტიტუცია ადგენს (მუხლი 41): „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მისზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას“. კონსტიტუცია ინფორმაციას ღიად აცხადებს, მაგრამ იმედროულად იცავს ადამიანს მის ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩახედვისაგან: „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული

ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან, ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმიანობისა (რომლის ერთ-ერთი ფორმაც შეკრება და მანიფესტაციაა) და რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში მონაწილეობის უფლებებს, ვინაიდან ამ უფლებებზეა დამოკიდებული ძალაუფლების განხორციელებაში ხალხის მონაწილეობის ხარისხი. რაც უფრო ფართოა ეს უფლებები, რაც უფრო მეტი თავისუფლება ეძლევათ ადამიანებს ამ სფეროში, მით უფრო მეტია მოქალაქეთა წილი ხელისუფლების განხორციელებაში, მით უფრო მეტ ანგარიშს უწევს ხელისუფლება მოქალაქეთა აზრს. ამ თვალსაზრისით კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებები ძალიან ფართოა (მუხლები 25, 26, 28):

– საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის უფლება ეძლევა ყველას, პოლიტიკური გაერთიანებების შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობისა კი – მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს (გამონაკლისია სამხელო ძალების, სახელმწიფო უშიშროების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირადი შემადგენლობის წევრები, მისამართლები და პროკურორები – მათ არა აქვთ პოლიტიკურ გაერთიანებაში ყოფნის უფლება). ამ გაერთიანებათა „საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით“. ამ შემთხვევათა წერს თავად კონსტიტუცია ადგენს: „დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამზიანა ან ძალაობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწვეა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, ადვიცებს ეროვნულ, ეთნურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირების შექმნა“;

– რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან, გარდა იმ პირისა, რომელიც სასამართლომ ქმედუნარიოდ ცნო ან სასამართლოს განაჩნით იმყოფება სასჯელის აღსრულების

დაწესებულებაში. კონსტიტუცია რამდენიმე დამატებით პირობას აწესებს ასარჩევი პირებისთვის. კერძოდ, „პარლამენტის წევრად შვილებს აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან“ (მუხლი 49.2), ხოლო „პრეზიდენტად შვილებს აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც და არჩევნების დანიშნვის დღეს ცხოვრობს საქართველოში“ (მუხლი 70.2);

– კონსტიტუციის თანახმად, ყველას აქვს უფლება წინასწარი ნებართვის გარეშე უპირატეს ჩაატაროს შეკრება (მიტინგი) და მანიფესტაცია (ეს უფლება არა აქვთ სამხედროებს, პოლიციელებსა და უშიშროების სამსახურის თანამშრომლებს). კანონით შეიძლება დაწესდეს მხოლოდ წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის საშიშრო ადგილას იმართება, რაც იმას ნიშნავს, რომ დაუმეგებელი ისეთი ნორმის დადგენა, რომელიც ხელისუფლებას შესაძლებლობას მისცემს აკრძალოს შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება (ამ წესიდან გამონაკლისს კონსტიტუცია მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის დროს უშუბებს). ხელისუფლებას მხოლოდ იმის უფლება აქვს, რომ შეწყვიტოს უკვე დაწყებული შეკრება ან მანიფესტაცია, და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

პოლიტიკურ უფლებათა დადგენისას საქართველოს კონსტიტუცია დასაშვებად მიიჩნევს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვას (მუხლი 27), სხვა საკითხებში კი მათ საქართველოს მოქალაქის თანაბარ უფლებებს ანიჭებს, (გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა) (მუხლი 47).

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოში ადამიანის პოლიტიკურ და ზოგიერთ სხვა უფლებათა წარმოქმნის აუცილებელი წინაპირობა საქართველოს მოქალაქეობაა. სწორედ ამიტომ მოქალაქეობასთან დაკავშირებული უმთავრესი საკითხები კონსტიტუციით (მუხლები 12 და 13), სხვა საკითხები კი „მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონით განისაზღვრება. კონსტიტუციის თანახმად,

– „საქართველოს მოქალაქეობა მიიძლევა დაბადებით და ნატურალიზაციით“ (ნატურალიზაციით მოქალაქეობის მიიძლება ნიშნავს არამოქალაქის განცხადების საფუძველზე მისთვის მოქალაქეობის მინიჭებას, რისთვისაც აუცილებელია, რომ ამ პირი აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ პირობებს; ერთ-ერთი პირობაა პირთა უცხოელის ენის ცოდნა კანონით დადგენილ ფარგლებში);

– „საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე“, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღების მომენტთან იგი ავტომატურად კარგავს საქართველოს მოქალაქეობას და, მაშასადამე, მოქალაქეობიდან გამოდინარე ყველა უფლებას;

– დაუმეგებელია მოქალაქეობის ჩამორთმევა და საქართველოდან მისი მოქალაქის გაძევება (გაეზისნებით, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს ერთიც ხდებოდა და მეორეც).

გარდა ზემოაღნიშნული უფლებებისა, მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს ანიჭებს კონსტიტუცია სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებას (მუხლი 29); სახელმწიფოს ხარჯზე საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღების უფლებას (მუხლი 35). კონსტიტუცია მხოლოდ საქართველოს მოქალაქის მიმართ ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ ხელი შეუწყოს დასაქმებაში, თუ იგი უზომურად დარჩა (მუხლი 32). იმავდროულად, მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს ავალდებულებს ქვეყნის დაცვასა და სამხედრო ვალდებულების მოხდას (მუხლი 101).

როგორც ვხვდებით, კონსტიტუცია დასაშვებად მიიჩნევს ადამიანის ზოგიერთ უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვას კანონით, ზოგიერთისას – მხოლოდ ორგანული კანონით, ზოგიერთის შეზღუდვას კი საერთოდ კრძალავს. გამონაკლისია საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პერიოდი, როდესაც საქართველოს პრეზიდენტს უფლება ეძლევა ქვეყანაში ამ მის როლიშივე ნაწილში დეკრეტით შეზღუდოს ზოგიერთი, ზუსტად განსაზღვრული უფლება და თავისუფლება (მუხლი 46). მაგრამ საკითხის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს გადაწყვეტილება 48 საათის განმავლობაში უნდა შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად და თუ პარლამენტმა მომდევნო 48 საათში არ დაამტკიცა იგი, დეკრეტით გაუქმებულად ითვლება მისი ძალაში შესვლის მომენტთან.

ადამიანის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები

ფრიდონ საყვარელიძე

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კლასიფიკაციის კლასიკური კარიანტის მიხედვით გამოყოფენ შემდეგ უფლებებსა და თავისუფლებებს:

I. ადამიანის მატერიალური უფლებები და თავისუფლებები

1. პირადი ანუ სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები (ვევლა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, მოქალაქეობის უფლება; სიცოცხლის, პატივისა და ღირსების, თავისუფლების ხელშეუვალი უფლებები, წამების დაუშვებლობა; სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება და სხვ.).

2. პოლიტიკური უფლებები (ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება, საარჩევნო უფლება; პოლიტიკური პარტიის, პროფესიული კავშირის შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უფლება; მიტინგების, მანიფესტაციების ჩატარების უფლება და სხვ.).

3. სოციალური უფლებები (შრომის უფლება, საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფა; გაყვანილობის, განაღობის მიღების, ჯანმრთელობის დაცვის უფლებები და სხვ.).

სხვა კლასიფიკაციები ადამიანის მატერიალურ უფლებებსა და თავისუფლებებში გამოყოფენ აგრეთვე ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებს, რომლებიც წარმოდგენილი კლასიფიკაციის მიხედვით ადამიანის უფლებების ზემონაშთივლილ უკუფთვან ერთ-ერთი მიეკუთვნებან. მაგ., საკუთრებისა და შექვიდრების უფლება ამ კლასიფიკაციით მიეკუთვნება როგორც პირად, ასევე სოციალურ უფლებებს, თუმცა ის, რა თქმა უნდა, ეკონომიკური უფლებაც არის; დუდალით სარგებლობის უფლება პირადი უფლებათა, მაგრამ ამასთანავე კულტურულიც.

II. საპროცესო უფლებები.

ზოგადი განმარტებით, ეს არის ხელისუფლების მიერ შექმნილი პირობები და გარანტიები I კატეგორიაში ჩამოთვლილი მატერიალური უფლებების დასაცავად. ადამიანის უფლებათა, მაგალითად, უკონდეს სასამართლო, რომელიც დიცავს მის კანონიერ უფლებებს და რომლის მოწოდებაც სახელმწიფოს ვალდებულებაა.

ტექშით დაწერილებით განვიხილავთ ადამიანის სოციალურ უფლებებს.

ადამიანის სოციალური უფლებების წარმოშობის წყაროებზე საუბრისას ძირითადად ორ კონცეფციას განიხილავენ:

1. ადამიანის სოციალური უფლებების წარმოშობა შედგება საზოგადოებრივი ხელშეკრულებისა. თუკი ჩვენ ვუშობთ, სახელმწიფოს წინაშე ვიხდით მოვალეობას გადასახადების გადახდის სახით, ჩვენ კოვლეტის შეგვიძლია დავლოთ სხვადასხვა სახის ხელშეკრულებები (მაგ., დავდებ ყოველთვიურად, ვიქვით, 20 ლარს და ბავშვის განათლების ხარისხინობას სახელმწიფოს მივიანდო, ან პირიქით, ამ 20 ლარს ჩემს მიერ არეულ მასწავლებელს პირადად მიეცემ და უკვე მას მოვთხოვ პასუხს. შემეძლია ასევე დავლო ვულს, თუნდაც ჯანდაცვის დაზღვევის ფინდში და ავად გახდომის შემთხვევაში, ვულს გადახდა აღარ დამჭირდება; ან, ენაიდან ჯანმრთელობას არ ვუჩივი, ამ ვულს შევინახავ და თუ მინც ვავხდო ავად, ექიმს პირადად ვადავუხდი და ა.შ. გააჩნია, თუ როგორ ვადავწყვეტილს და როგორ ხელშეკრულებას დავდებო. ცნობილია, რომ კომუნისტური სისტემის არსებობის დროს, ჩვენი გამოქმუვების 90%-ს ვიხდით სოციალური და არა მარტო სოციალური სფეროს დასაფინანსებლად).

2. სოციალური უფლებები, ისევე როგორც მატერიალურ უფლებებში შემავალი სხვა უფლებები, ადამიანის ღირსებასთან არის დაკავშირებული. ღირსება კი ადამიანის დასადაბებითი და ვანყოფილი თვისებაა და არ არის დამოკიდებული ადამიანის პიროვნულ თვისებებზე. ის ერთნაირად გვაქვს ვევლას - ახალშობილსა და მოხუცებულს, ეკოლოშიობლ ადამიანსა და რეციდევისტს. სხვა არის ადამიანის პიროვნული ღირსება, რომელიც დამოკიდებულია ადამიანის ზნეობაზე, ცხოვრების წესზე და ა.შ.

ამ კონცეფციიდან გამომდინარე, მშერი და მშეველი მათხოვარი ღირსებაშეღაზულია და საზოგადოება უნდა ზრუნავდეს მისი ღირსების აღსადგენად.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მეკამეტე თავში ცალკე გამოყოფილი ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უფლებანი და მოიცავს მუხლებს 113-დან 128-ის ჩათვლით, ანუ 16 მუხლს.

113-ე მუხლში ნათქვამია:

„რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსული არსებობასთვის“, რაც მიუთითებაზე, რომ 1921 წლის კონსტიტუცია ადამიანის სოციალური უფლებების წარმოშობას ადამიანის ღირსებას უკავშირებს. სხვა მუხლებში ლაბარათა საკუთრებისა და კრძო ინიციატივის უფლებებზე. აქვე ადინშული საკუთრების სოციალური ფუნქცია, ანუ საკუთრება ადამიანის არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური უფლებათა, არამედ მოვალეობაც საზოგადოების წინაშე.

მუხლი 116:

„ ... მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე“.

შემდგომ მუხლებში განმარტებულია შრომის უფლება და შრომის პირობები, შრომის ბირთვის დაარსების აუცილებლობა, უზრუნველყოფა დახმარება სამუშაოს აღმოჩენით ან დაზღვევის სახით, ქალთა შრომა, დევიდობისა და დახმავა დაცვისათვის მზრუნველობა, შრომისუნარდაკარგული მოქალაქის უფლებები.

და ბოლოს, მუხლი 127:

„ შრომის დამცველი კანონების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხს აეგებენ სისხლის სამართლის წესით“.

სწავლა-განათლება და სკოლა ცალკე გამოყოფილი მე-II თავში, რომლის მიხედვითაც პირველდარწევებით სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა, ხოლო უღარიბეს ბავშვებს სახრიან, ჩასაცემლ-დასახური და სასწავლო ნივთები პირველდარწევებით სკოლაში უფასოდ მიეცემათ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციაში აღმანიის სოციალურ-ეკონომიკური უფლებები თითქმის სულ არ არის ან მინიმალურადაა დაფიქსირებული. ასეთია, მაგალითად, ამერიკისა და საფრანგეთის კონსტიტუციები. თუმცა, ამერიკის კონსტიტუციის IX შესწორება (1791 წ.) – „ კონსტიტუციაში გარკვეულ უფლებათა ჩამოთვლა არ უნდა განიმარტებოდეს ხალხისათვის მინიჭებული სხვა უფლებების საზიანოდ ან უარყოფისათვის“ – ერთგვარად აცხადებს ამ ვაგუთს. იტალიის კონსტიტუციაში კი პირიქით, სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და ურთიერთობები საკმაოდ დეტალიზებულია. ყველაფერ ამას, რა თქმა უნდა, თავისი პოლიტიკური და ისტორიული მიზეზები აქვს. დემოკრატიის ამერიკული მოდელი გულისხმობს აღმანიის თავისუფლებას სახელმწიფოსაგან, ანუ ეს უფლებები და თავისუფლებები ჩემი განუყოფელი, დაბადებითი უფლებებია და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დაფიქსირებული არიან თუ არა ისინი კონსტიტუციაში, ისინი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობენ.

რაც შეეხება ევროპულ მოდელს, ის გულისხმობს თავისუფლებას სახელმწიფოს დახმარებით, ანუ სახელმწიფოსა და ხალხს შორის საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგია. სახელმწიფოს აქვს იმდენი უფლება, რამდენსაც ხალხი აძლევს მას, ანუ ხალხი, ზოგჯერ თავისი უფლებების ხარჯზე, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ახდენს თავის უფლებათა ნაწილის დღეღვინებას სახელმწიფოსთვის.

საქართველოს კონსტიტუცია აღმანიის სოციალური უფლებების წარმოშობის ორივე კონცეფციას იყენებს.

მაგალითად, მუხლი 37.1:

„ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით“ (ე.ი. ყველას აქვს უფლება დალოს ხელშეკრულება სახელმწიფო თუ კერძო სადაზღვევო კომპანიებთან ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ანუ შეუძლია გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ეს უფლება – ხელშეკრულებითი კონცეფცია).

„კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება“ (აქ უკვე აღმანიის ღირსების დაცვა გათვალისწინებულია, ვინაიდან უსახსრობის გამო მზრუნველობას მოკლებული აღმანი ღირსება შელახულია).

მუხლი 35.3:

„სკოლამდელ აღზრდას უზრუნველყოფს სახელმწიფო. დაწყებითი განათლება სავალდებულოა. სახელმწიფო თავის ხარჯზე უზრუნველყოფს საბაზო განათლებას. მოქალაქებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლებლებში უფასოდ მიიღონ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება“ (აქაც დაცულია იმ აღმანიის ღირსება, ვინც ვერ ახერხებს უსახსრობის გამო განათლების მიღებას, თუმცა არც ხელშეკრულებითი ფორმა უარყოფილი. ყველას შეუძლია ხელშეკრულების საფუძველზე მიიღოს ფასიანი განათლება).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაშივეა დაფიქსირებული, რომ საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა „ ... დაამკვიდრონ სოციალური ... სახელმწიფო ...“, რაც კარგად გვიხატავს იმ პოლიტიკურ კონიფიქტურას, რომლის დროსაც იქნა მიღებული ეს კონსტიტუცია და რაც, უდავოდ, მემარცხენე ძალების ზეგავლენის შედეგია.

უნდა ითქვას, რომ აღმანიის უფლებათა ცნობილი დამცველები საერთოდ უარყოფენ კონსტიტუციაში სოციალური უფლებების დაფიქსირების აუცილებლობას, ვინაიდან, მათი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოს ყოველთვის შეეძლება არაკონსტიტუციურად გამოაცხადოს კანონი ბოუკეტის შესახებ იმ მოტივით, რომ ის არ არის სოციალური და გააუქმოს იგი, რაც გარკვეულ პოლიტიკურ ვითარებაში გამოიწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს გადატყვევას პოლიტიკურ ორგანოდ და, რაც მოავარია, ხელისუფლების კრიზისს.

კარგად უნდა გვეჩინდეს გააზრებული, რომ სოციალური უფლებების არსებობა საქართველოს კონსტიტუციაში სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ყველა თანაბარია (აქ ეგულისხმობთ თანაბრობას არა კანონის წინაშე, არამედ ეკონომიურ თანაბრობას). აქ იგულისხმება ის მინიმუმი აღმანიის

სოციალური მოთხოვნებიდან, რომლებიც უნარჩუნებენ მას ღირსების გრძობას.

მუხლი 32:

„სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრობის სტატუსი განისაზღვრება კანონით“.

ამრიგად, საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები განისაზღვრება კანონით და ამ თანხების წყაროს წარმოადგენს გადასახადებისაგან მიღებული თანხა. ჩვენ ვიხდით მათთვის, ვისაც ში და არა აქვს შემოსავალი, ცხოვრობს ქუჩაში, ანუ ვიხდით იმ მინიმუმისათვის, რომელიც ადამიანს ღირსებას შეუნარჩუნებს, მაგრამ ამაზე შორს ვერ წავაღოთ და ვერ გადავიხდით, მაგალითად, იმისათვის, რომ ყოველ მათგანს ჰქონდეს საკუთარი იახტა, მანქანა ან თუნდაც მოტოციკლი.

საქართველოს კონსტიტუციის II თავში ათამდე მუხლია, რომლებშიც ადამიანის სოციალური უფლებებია დაფიქსირებული. ზოგიერთ მათგანს ჩვენ უკვე შევეხეთ. დანარჩენი მუხლებია:

მუხლი 30

„1. შრომა თავისუფალია.

2. ... მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

3. შრომითი ურთიერთობების მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.

4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით“.

33-ე მუხლში დაფიქსირებულია გაფიცვის უფლება, რომლის განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით.

ჩვენ უკვე შევეხეთ 35-ე მუხლის მე-3 პუნქტს. სხვა პუნქტები, რომლებიც განათლებას ეხება, ასეა ჩამოყალიბებული:

„1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო წესებთან და სტანდარტებთან.“

მუხლი 36

„2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.

3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.“

ამრიგად, საქართველოს კონსტიტუცია იმ კონსტიტუციათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებშიც ისტორიულ და პოლიტიკურ მიზეზთა გამო საკმაოდ ფართოდაა ასახული ადამიანის სოციალური, კონომიკური და კულტურული უფლებები.

სახელმწიფო ხელისუფლება

პესტანა ხმალაძე

საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების განხილვისას აღინშნა, რომ წინი კონსტიტუცია ეყრდნობა „სამართლებრივი სახელმწიფოს“ თეორიას, რომლის დედანრიც სამართლით სახელმწიფოს შეზღუდვის იდეაა. ამ იდეის განხორციელებისთვის კი აუცილებელია ხელისუფლების დანაწილების, მის განმტობებათა შორის ურთიერთმეკავიებისა და ურთიერთგაწინააწილების, ხელისუფლების არჩეულობისა და არჩევნების პერიოდულობის პრინციპების დაცვა. სამოქალაქო საზოგადოების შექმნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ზუსტადაა დაცული ეს პრინციპები და რამდენად მკაფიოდაა ისინი ასახული კონსტიტუციაში, ვინაიდან სწორედ კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფოს განვითარების გეზს, ვინაიდან ყველა სხვა სამართლებრივი აქტი, მათ შორის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, კონსტიტუცია უნდა შეესაბამებოდეს, ვინაიდან სახელმწიფო ხელისუფლებას ზუსტად იმდენის უფლება აქვს, რამდენსაც მას კონსტიტუცია და მისგან გამომდინარე სამართლებრივი აქტები ანიჭებენ (განხევაებით ადამიანისაგან, რომელსაც ეკრძალება მხოლოდ ის, რაც კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით არის აკრძალული).

ზემოაღნიშნული პრინციპების დაცვის ვალდებულება კონსტიტუციის მე-5 მუხლით არის დადგენილი: „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“. ამ პრინციპების განხორციელებას კი კონსტიტუციის რამდენიმე ათეული მუხლი ეხმარება. სახელმწიფო ხელისუფლება სამ განმტობებად იყოფა – საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს საქართველოს პარლამენტი, აღმასრულებელ ხელისუფლებას – საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო სასამართლო ხელისუფლებას – საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოები. პარლამენტის არჩევნები ტარდება ოთხ წელიწადში ერთხელ, ხოლო პრეზიდენტისა – ხუთ წელიწადში ერთხელ.

ამათვისვე უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციით მკაფიოდაა გამოყენული სამივე ხელისუფლება, მაგრამ საკმაოდ არასრულადაა განსაზღვრული ხელისუფლების ე.წ. ვერტიკალი დაწინაოება –

უფლებამოსილებათა გამიჯვნა საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა, ხელისუფლების ტერიტორიულ ორგანოთა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შორის. კონსტიტუცია მხოლოდ იმ საკითხებს განსაზღვრავს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება¹ (მუხლი 3). სხვათა შესახებ კი ამბობს, რომ „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამოყენების პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მიერ ტერიტორიაზე საქართველოს ავტონომიური სრულად აღდგენის შემდეგ“ და „საქართველოს მოქალაქეები თვითმმართველი მნიშვნელობის საქმეების აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეუღლავადად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით“.

კონსტიტუცია შეზღვევნიარად განსაზღვრავს პარლამენტისა და პრეზიდენტის უფლებამოსილებათა სფეროებს:

„საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საზღვარ და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს“ (მუხლი 48);

„საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური.

საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი უზრუნველყოფს

¹ ეს ის საკითხებია, რომელთა ცენტრალიზებულად მოწესრიგებას თუ აღსრულებას გარეშე ქვეყანა, როგორც ერთიანი სახელმწიფო, ვერ იქნება უზრუნველყოფილი ქვეყანაში მცხოვრებთა უფლებებრივი თანასწორობა, მათ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა. კერძოდ, ეს საკითხებია კანონმდებლობა მოქალაქეობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ემიგრაციისა და იმიგრაციის შესახებ, სახელმწიფოს თავდაცვა და უშიშროება, სამხედრო ძალები, იმისა და ზავის საკითხები, საგანგებო და საომარ მდგომარეობათა სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება, სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო სესხი, ფულის მოჭრა, ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეგიმი, კრიმინალური პოლიცია და გამოძიება და სხვ.

ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად.

საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელთა საგარეო ურთიერთობებში“ (მუხლი 69);

„პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი“ (მუხლი 73).

ეს უფლებამოსილებანი კონსტიტუციის სხვა მუხლებშია გაშლილი და დაზუსტებული. პრეზიდენტს ბევრი ისეთი უფლება აქვს მიანიჭებული, რომელთა განხორციელებაშიც პარლამენტი ვერ ჩაერევა, მაგრამ მას არა აქვს პარლამენტის დათხოვის უფლება, ასევე არა აქვს კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების თანამდებობიდან გადაყენების უფლება, პარლამენტი კი უფლებამოსილია იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადააყენოს როგორც პრეზიდენტი, ასევე ზემოაღნიშნული თანამდებობის პირები, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, გენერალური პროკურორი და მინისტრები.

პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის ხელისუფლება იმეგარადა დანაწილებული, რომ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხთა გადაწყვეტაში ხელისუფლების ორივე განსტოლება მონაწილეობს, თუმცა საკანონმდებლო სფეროში გადაწყვეტი სიტყვა პარლამენტს ეკუთვნის, ადმინისტრაციულ სფეროში კი – პრეზიდენტს, ხოლო თუ მათ შორის უთანხმოება წარმოიქმნა კომპეტენციის გამო ან ერთიპირის ნორმატიული აქტების² კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხებზე, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საკონსტიტუციო სასამართლო.

ასლა უფრო კონკრეტულად ვნახით, თუ რაზეა საუბარი. პარლამენტის მიერ კანონპროექტის განხილვა იწყება საკანონმდებლო ინიციატივით მისი წარდგინის შემდეგ. ამის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზებისა და აჭარის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30 ათას ამომრჩევლს. პრეზიდენტს უფლება აქვს მოითხოვოს მის მიერ წარდგენილი კანონპროექტის რეაგირებზე განხილვა. კანონპროექტის განხილვის შემდეგ პარლამენტი მას იღებს ღია კენჭისყრით. მიღებული კანონპროექტი 5 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც 10 დღის ვადაში ან ხელი უნდა მოაწეროს კანონს და გამოაქვეყნოს იგი, ან დასაბუთებული შენიშვნებით უკან დაუბრუნოს

პარლამენტს (ე.წ. შეყოვნებით ვერ). ასეთ შემთხვევაში პარლამენტი კენჭს უყრის პრეზიდენტის შენიშვნებს და თუ მიიღო ისინი, კანონპროექტის საბოლოო რედაქციას გადასცემს პრეზიდენტს, რომელმაც 7 დღის ვადაში ხელი უნდა მოაწეროს კანონს და გამოაქვეყნოს იგი. თუ პარლამენტმა არ მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას, ოღონდ მის მისაღებად უკვე პარლამენტის სიითი შემაღგენლობის სულ ცოტა სამი მეხუთედია საჭირო, თუ ეს არის კანონის ან ორგანული კანონის პროექტი³ და პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი, თუ ეს კონსტიტუციური შესწორებაა. თუ პარლამენტმა დახმლა პრეზიდენტის ვერო, პრეზიდენტი ვალდებულია ხელი მოაწეროს კანონს და გამოაქვეყნოს იგი. თუ პრეზიდენტი დადგინდა ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

კანონის მიღების პროცედურა საქმად დაწერილებით აღწერეთ, ვინაიდან ძირითადდ სწორედ კანონშემოქმედების მექანიზმით განსაზღვრავს პარლამენტი ქვეყნის საშინაო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და ენახეთ, თუ როგორია პრეზიდენტის როლი კანონშემოქმედების პროცესში. რაც შეეხება საშინაო პოლიტიკის განხორციელებას, მას პრეზიდენტი ასრულებს ადმინისტრაციული ხელისუფლების მეშვეობით, რომლის „სტრუქტურასა და საქმიანობის წესს პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს პარლამენტი“ (მუხლი 78). მთავრობის წევრებისა და მიიღი რიგი თანამდებობის პირების დანიშვნა პრეზიდენტის პრეოგატივია, მაგრამ მთავრობის წევრების დანიშვნაში პარლამენტიც მონაწილეობს – მისი თანხმობის გარეშე პრეზიდენტს არა აქვს მინისტრის დანიშვნის უფლება. პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულის სხვა წარმომადგენლობით ორგანოს საქმიანობა, ან დაითხოვოს ისინი, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილების მიღება პრეზიდენტს შეუძლია მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში პრეზიდენტს უფლება აქვს გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება არა უკვიანეს 48 საათისა პარლამენტს უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად.

³ გაევისებით, რომ კეტოს დადგამდე კანონის მისაღებად საკმარისი იყო დასწერული უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ 79 წმ, ხოლო ორგანული კანონის მისაღებად – სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

² პარლამენტის ნორმატიული აქტებია კანონი და პარლამენტის რეგლამენტი, პრეზიდენტის ნორმატიული აქტებია დეკრეტი, ბრძანებულება და პრეზიდენტის, როგორც უმაღლესი მთავარსარდალის, ბრძანება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრეზიდენტის როლი საგარეო პოლიტიკის წარმართვაში. ამ ხვეროში ინიციატივა მთლიანად მას ეკუთვნის (მუხლი 73) - იგი დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, აწარმოებს მოლაპარაკებს უცხოეთის სახელმწიფოებთან; აცხადებს საომარ მდგომარეობას და დებს ზავს; ნიშნავს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს. მაგრამ პარლამენტის გარეშე ამ საკითხთა გადაწყვეტა არ ხდება - დანიშვნებისას სავალდებულოა პარლამენტის წინასწარი თანხმობა; საომარი მდგომარეობის გამოცხადება და ზავის დადება პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს; საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა უმეტესი ნაწილი ძალაში შედის პარლამენტის მიერ მათი რატფიციაციების შემდეგ. პარლამენტი უფლებამოსილია გააუქმოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები ან მოახდინოს მათი დენონსირება (მუხლი 65). სწორედ ამ უფლებამოსილებათა მეშვეობით განსაზღვრავს პარლამენტი საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. ცხადია, მას შეუძლია მიიღოს დადგენილება საგარეო პოლიტიკის საკითხებზე და ამით განუსაზღვროს ადამსრულებელ ხელისუფლებას მოქმედების მიმართულებები და ჩარჩოები.

პარლამენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა მთავრობის საქმიანობის კონტროლი, რასაც ახორციელებს პარლამენტის კომიტეტების, საგამომძიებო და სხვა დროებითი კომისიების, აგრეთვე პარლამენტის წინამშე ანგარიშვალდებულო ორგანოსთვის ან მინისტრისთვის შეკითხვის მიცემის მეშვეობით, რასაც მათ პარლამენტის სხდომაზე უნდა უპასუხო.

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასამართლო ხელისუფლებას, მისი დამოუკიდებლობისა და ქმედითობის ხარისხს. კონსტიტუციამ ამის ყველა პირობა შექმნა (თავი მეხუთე). ეს პირობები ნათლად არის ჩამოყალიბებული და მათზე აღარ შეეჩერებით, აღენიშნავეო მხოლოდ უმთავრესს:

„სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით. სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით“ (მუხლი 82);

„საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო. მისი უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით. მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები. მათი სისტემა

და სამართალწარმოების წესი დადგენილია კანონით. სამხედრო სასამართლოს შემოღება შეიძლება საომარ პირობებში და მხოლოდ საერთო სასამართლოს სისტემაში. საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა დაუშვებელია“ (მუხლი 83);

„სასამართლო თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს... სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით“ (მუხლი 84);

„საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან“ (მუხლი 89).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ერთი ასპექტი - საკონსტიტუციო სასამართლო „მოქალაქის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით“ (მუხლი 89). ეს საკითხები კი ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებული საკითხებია. ამრგად, შექმნილია კონსტიტუციური პირობა იმისათვის, რომ გაუქმდეს ისეთი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი, რომელიც ზღუდავს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონსტიტუციური გარანტიები

ოთარ ზოიძე

ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს ემობა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი, მაგრამ ამ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტიები პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფორმით მიეღ კონსტიტუციაში დაფიქსირებული. პრეამულაში, რომელიც კონსტიტუციის ორგანული ნაწილია, გაცხადებულია საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნება – „დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, გკონიმიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი ...“

კონსტიტუციაში სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების რეალიზაცია არის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უპირველესი გარანტია. კონსტიტუციის მე-5.1 მუხლი გამოხატავს ხალხისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების არსს, კერძოდ, „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში“. მაშასადამე, საქართველოს კონსტიტუცია ადგენს შემდეგ მდგომარეობას: ა) სახელმწიფოს აფუძნებს ხალხი; ბ) ხალხი თავის უფლებამოსილებათა ნაწილს გადაცემს სახელმწიფოს; გ) სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილებათა ფარგლები დადგენილია ხალხის მიერ კონსტიტუციის მეშვეობით; დ) სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება ვერ გასცდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებს.

სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრინციპის – ხელისუფლებისათვის ნებადართულია მხოლოდ ის, რაც დადგენილია კონსტიტუციით – აღიარება და მოქმედება იცავს ადამიანს ხელისუფლების თვინებობისაგან.

კონსტიტუციის მე-7 მუხლი კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. იგი შინაარსობრივად აგრძელებს და აკონკრეტებს მე-5.1 მუხლით დადგენილ პრინციპს: „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვლ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლებას განახორციელებისას ხალხი და სახელმწიფო

მეზღულული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლი“.

საქართველოს მოქალაქენი ამ მუხლით ადგენენ შემდეგ პრინციპებს: ა) ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა წყარო არ არის სახელმწიფო. სახელმწიფო კი არ ანიჭებს ადამიანს ამ უფლებებსა და თავისუფლებებს; არამედ აღიარებს მათ არსებობას სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად;

ბ) სახელმწიფოს მოვალეობაა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა. მაშასადამე, სახელმწიფო არსებობს ხალხისაგან და ხალხისათვის;

გ) ადამიანის უფლებები და თავისუფლებები წარუვლი და უზენაესი ადამიანური ღირებულებებია. მაშასადამე, ამ უფლებათა და თავისუფლებათა არსებობა არ შეიძლება შეპიოფარგლოს დროის რომელიმე მონაკვეთით და არ შეიძლება შეიღახოს სხვა ღირებულებებით;

დ) ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, როგორც წარუვლი და უზენაესი ადამიანური ღირებულებები, ზღუდავს სახელმწიფოსა და ხალხს ხელისუფლების განხორციელებისას. მაშასადამე, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ამგვარი გარანტიის შექმნით პიროვნება დაცულია ხალხისა და სახელმწიფოს თვინებობისაგან.

ხალხის მიერ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის (მოთვისებას), უმრავლესობის ტრანზის შესაძლებლობას გამოიჩინებს კონსტიტუციის 74.2-ე მუხლი: „არ შეიძლება რეფერენდუმის მიწყაა ... ისეთ საკითხზე, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს“.

აღნიშული ნორმა მნიშვნელოვანი გარანტიაა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. ამ მნიშვნელოვანის საელუსტრაციოდ ერთ კონკრეტულ თეორიულ მაგალითს წარმოვადგინო: კონსტიტუციის მე-5.2 მუხლის შესაბამისად ხალხს უფლება აქვს თავისი ძალაუფლება განახორციელოს რეფერენდუმის მეშვეობით, მაგრამ 74.2-ე მუხლით დადგენილი აკრძალვის გამო ხალხი ვერც კი დასცამს სარეფერენდუმოდ საკითხს, ვთქვათ, საკუთრების უფლების გაუქმების შესახებ, თუნდაც საკუთრების უფლების გაუქმებას მხარს უჭერდეს ამომრჩეველთა ასივე კაციონტი, რადგან საკუთრების უფლება წარუვლი და უზენაესი ღირებულება და მისი გაუქმება დაუშვებელია.

კონსტიტუციის 39-ე მუხლით აღიარებულია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარანტია: „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს,

რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან”.

ითიქოსდა ამ მუხლში რაიმე კონკრეტულ გარანტიებზე (მექანიზმზე) არაა საუბარი, მაგრამ აღნიშნული მუხლი არაპირდაპირი ფორმით აღიარებს ფრად ფასულ პრინციპს, კერძოდ, ადამიანის ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი, ასევე მათი დაცვის გარანტიები არ არის ამოწურავი, კონსტიტუციაში მათ ჩამოთვლას (დასახელებას) სანიშნო ხასიათი აქვს, განსაკუთრებით სახელმწიფოს უფლებამოსილებებისა, რომელთა მონათავილც ამოწურავია (სახელმწიფოს აქვს მხოლოდ ის უფლებანი, რაც კონსტიტუციაშია აღნიშნული, ადამიანს კი, კონსტიტუციაში დასახელებული უფლებების გარდა, აქვს სხვა უფლებებიც და ამ უფლებათა დაცვის გარანტიებიც).

ყოველივე ზემოთქმული შეიძლება შევჯავამოთ და დავაცხადოთ: ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ფუნდამენტური გარანტია პიროვნებას, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის კონსტიტუციით აღიარებული ურთიერთობების არსი, ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი – ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი წარუვადი და უზენაესია, სახელმწიფოს უფლებამოსილებანი ნაწარმოება (მიღებულია ხალხისგან); ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი ამოწურავია, სახელმწიფოს უფლებანი ამოწურავია; სახელმწიფო და ხალხი (საზოგადოება) შეზღუდული არიან ადამიანის უფლებათა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. პიროვნებას, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ამგვარი ურთიერთმომართების აღიარება და კონსტიტუციური უზრუნველყოფა ქმნის იმ სამართლებრივ საფუძვლას, რომლის არსებობა აუცილებელი პირობაა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისა. ამგვარი ურთიერთმომართების, წინასწარობის მუდმივი შენარჩუნება არის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უპირველესი გარანტი.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლი სახელმწიფოს შეზღუდვის (შეზღუქვის) უზრუნველყოფის მნიშვნელოვან გარანტიას ადგენს კონსტიტუციის მე-5.4 მუხლი: „სახელმწიფო ხელისუფლება ზორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით”. ხელისუფლების დანაწილება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად, სხვადასხვა სახელისუფლო შტოს შორის წინასწარობის დამყარება, ურთიერთშეზღუქვისა და ურთიერთკონტროლის მექანიზმების არსებობა აუცილებელი პირობაა და მნიშვნელოვანი გარანტია სახელმწიფოს (ხელისუფლების რომელიმე შტოს) მიერ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესაძლო ხელყოფისგან

თავის ასარიდებლად. პარლამენტი „კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას“ (მუხლი 48). კონტროლის ფორმა დადგენილია კონსტიტუციის 56-ე, 59-ე, მე-60, 63-ე, 64-ე, 65-ე, 75-ე, მე-80 მუხლებით; თავის მხრივ, პრეზიდენტი აწინასწარებს პარლამენტის საქმიანობას კონსტიტუციის 68-ე და 89-ე მუხლებით მინიჭებული უფლებების მეშვეობით (ვეტოს უფლებით, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგენის უფლებით).

სასამართლო ხელისუფლება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით აწინასწარებს როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებას. უზენაესი სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო მონაწილეობენ პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრების, გენერალური პროკურორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების იმპიჩმენტის პროცედურაში (მუხლი 75); საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს პარლამენტისა და პრეზიდენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტები (მუხლი 89).

ამგვარად, კონსტიტუციური დებულების – „სახელმწიფო ხელისუფლება ზორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით” – პრაქტიკული რეალიზაცია კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად; ხელისუფლების ერთ რომელიმე შტოს აქვს უფლება და შესაძამისი სამართლებრივი მექანიზმები, ადგილობრივი სხვა რომელიმე შტოს მიერ ხელისუფლების უზრუნველყოფა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ხელყოფა, ანუ აღადგინოს ის დარღვეული სამართლებრივი წესრიგი, რომლის არსებობაც ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა რეალიზაციის აუცილებელი პირობაა.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზენაესი უზრუნველყოფანი გარანტია დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების არსებობა. სასამართლო ხელისუფლების ფორმალური (ფორმალური) დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლით: „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მიუღი ტერიტორიაზე. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას აზორციელებენ მხოლოდ სასამართლოები“ (მუხლი 82). „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ეფიდუალურ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან“ (მუხლი 89.2). სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის აუცილებელი პირობაა მოსამართლეების

ხელშეუვალობის (იმუნიტეტის) ინსტიტუტის არსებობა, რაც ასევე უზრუნველყოფილია კონსტიტუციის 84-ე, 86-ე, 87-ე და 88-ე მუხლებით.

დამოუკიდებელი სასამართლო არის სწორედ ის ინსტიტუტი, რომელიც უშუალოდ უზრუნველყოფს ადამიანის შუალაზული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას. კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ადარებს: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისი უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. ხოლო 89.1-ე მუხლით დადგინდა: საკონსტიტუციო სასამართლო „მოქალაქის სარგლის საუფლებელზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მხარე თავის სათითხებთან მიმართებით“.

საქართველოს კონსტიტუციამ შემოიტანა ახალი ინსტიტუტი, რომელმაც უნდა შექმნას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის დამატებითი გარანტია. მუხლი 43: „საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველყოფის უწყის საქართველოს სახალხო დამცველი ... სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოაღონოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებს და პირებს. სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისევეა კანონით ...“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი ადგენს იმ შემთხვევებს, როცა სახალხო დამცველს უფლება აქვს კონსტიტუციური სარჩელი შეიტანოს საკონსტიტუციო სასამართლოში. ორივე შემთხვევა, რა თქმა უნდა, ეხება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას: აღნიშნული კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოში რეგერენდუმის კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩლის შეტანის უფლება აქვს „საქართველოს სახალხო დამცველს, თუ ამორჩეველია მოთხოვნის მიხედვით არ დაინშა რეგერენდუმი“ („მ“ პუნქტი), ხოლო ამავე კანონის 39.1-ე მუხლის შესაბამისად, „საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტების ან მათი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის შესახებ საკონსტიტუციო სარჩლის შეტანის უფლება აქვს საქართველოს სახალხო დამცველს, თუ მას მიანიძა, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მხარე თავში აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი“.

საქართველოს კონსტიტუციის მხარე თავი შეიცავს არაერთ საპროცესო გარანტიას, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა. მაგალითისათვის რამდენიმე ამგვარ გარანტიას შევჩერდებით. კონსტიტუციის 23-ე მუხლით აღიარებული ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია იმავე მუხლის მხარე და შესაბამის პუნქტებით დადგინილი გარანტიით: „შემოქმედებით პროცესში ჩარევა,

შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ღაზავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს“.

კონსტიტუციის 24-ე მუხლით აღიარებული ინფორმაციის თავისუფლება უზრუნველყოფილია ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგინილი გარანტიით: „შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია. შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადალება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ღაზავს სხვა ადამიანის უფლებებს.“

კონსტიტუციის 24-ე მუხლით აღიარებული ინფორმაციის თავისუფლება უზრუნველყოფილია იმავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგინილი გარანტიით: „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებების მონოპოლიზაციის უფლება“.

კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტიის ჩამოთვლისას ზოგჯერ შეიცავს ბლანკეტურ (მითითების) ნორმას და ამგვარი გარანტიის არსებობა გააქვს კონსტიტუციის გარეთ. მაგალითად, მუხლი 20.2: „არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადასახლება აუცილებლობა“. კანონით გათვალისწინებულ გადასახლებილ აუცილებლობის“ შემთხვევებს კი ადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლი (ჩხრეკის წარმოების საუფლებელი).

კონსტიტუციის ბევრი მუხლი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის არაპირდაპირი (ფარული) გარანტია. მაგალითად, 94-ე მუხლი ადგენს, რომ გადასახლებისა და მოსარჩელების შემოღება დასაშვებია მხოლოდ კანონით, ე.ი. ეს არის პარლამენტის კომპეტენცია. თითქოსდა აღნიშნული მუხლი მხოლოდ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის კომპეტენციის მიჯნავს. მაგრამ პირველ რიგში შეიძლება შეიძლება ეს მუხლი იქცეს კონსტიტუციის 21-ე მუხლის აღიარებული საკუთრების უფლების ხელშეუვალობის გარანტიადაც. რაკი გადასახლები მიქცეულია საკუთრებაზე, ამიტომ უკანონოდ (94-ე მუხლის დარღვევით) შემოღებული გადასახლები ხელყოფს საკუთრების უფლებას. მაშასადამე, 94-ე მუხლით დადგინილი წესის (გარანტიის) არსებობა აუცილებელი პირობაა ადამიანის უფლების, კერძოდ, საკუთრების უფლების დაცვისა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონსტიტუციური გარანტიები დაეყოს სამ პირობით ვგუჯვად:

1. ფუნდამენტური გარანტიები, რაც გულისხმობს პიროვნებას, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის კონსტიტუციით აღიარებული ურთიერთმიმართების არსებობას;

2. ინსტიტუციური გარანტიები, რაც გულისხმობს ხელისუფლების განხორციელებას ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით, ურთიერთდამოუკიდებელი და ურთიერთგამანაწილებელი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების (საერთო სასამართლოები, საკონსტიტუციო სასამართლო) არსებობას;

3. საპროცესო გარანტიები (პირდაპირი და არაპირდაპირი).

სამივე სახის გარანტია ქმნის მყარ სამართლებრივ ბაზას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი

კრძალავთაშვილი

სახელმწიფო ფინანსებისა და კონტროლის რეგულირებას საქართველოს კონსტიტუციის VI თავი ეძღვნება, რომელიც თავის შრივ 6 მუხლისაგან შედგება.

ასანშიშავია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში არსებობდა ანალოგიური თავები: „სახელმწიფო ფინანსები“ და „სახელმწიფო კონტროლი“. მოქმედ კონსტიტუციაში არსებული დებულებები გადასახადების და სახელმწიფო კონტროლის შესახებ ბევრწილად ეყარება 1921 წლის კონსტიტუციით დამკვიდრებულ პრინციპებს, თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტისა და ეროვნული ბანკის შესახებ მოქმედი კონსტიტუციური ნორმები პრინციპულად ახალია საუკუნის დასაწყისის კონსტიტუციასთან შედარებით. ეს ბუნებრივია, ვინაიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საპარლამენტო რესპუბლიკა იყო და დღეს მოქმედ პრეზიდენტის ინსტიტუტს საერთოდ არ იცნობდა, ხოლო ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხი ბევრად ნაკლები იყო დღევანდელთან შედარებით.

მე-6 თავი იწყება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი მიძღვნილი ორი (92-ე და 93-ე) მუხლით, რომლებშიც მოცემულია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის წარდგენის და მიღების ზოგადი წესები, უფრო დეტალურად „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და მიღების წესი განისაზღვრება კანონით“ (მუხლი 92.2). ეს კანონი საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 30 მარტის კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ“, რომელშიც გასულ წელს არსებითი ცვლილებებია შეტანილი კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

სახელმწიფო ბიუჯეტის მიღების ეტაპებია:

1) ბიუჯეტის პროექტის შედგენა, რომელიც მიმდინარეობს ფინანსთა სამინისტროში ყველა სამინისტროსა და სახელმწიფო უწყების მონაწილეობით (ეს პროცესი ბიუჯეტის დამტკიცებამდე თითქმის ნახევარი წლით ადრე იწყება);

2) ბიუჯეტის პროექტის მოწონება პრეზიდენტის მიერ მთავრობის სხდომაზე (ზნორად უკვე ამ ეტაპზე ერთებიან ამ პროცესში პარლამენტის კომიტეტები);

3) ბიუჯეტის პროექტის დაგზავნა პარლამენტის კომიტეტებში და შენიშვნების გამოთქმა მის მიმართ;

4) პარლამენტის კომიტეტების მიერ გამოთქმული შენიშვნების შეყვება ფინანსთა სამინისტროში ან მთავრობის სხდომაზე;

5) საბოლოო სახით ბიუჯეტის პროექტის პარლამენტში წარდგენა (არა უგვიანეს 3 თვისა საბიუჯეტო წლის დათავიერებამდე) და პლენარულ სხდომაზე განხილვა;

6) შემთანხმებელ კომისიაში საბოლოო ტექსტის დადგენა და პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მისი მიღება.

პროცედურის სირთულე იმითაა განპირობებული, რომ „პრეზიდენტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანა“ (მუხლი 93.3) და „შხოლოდ საქართველოს პრეზიდენტია უფლებამოსილი პარლამენტს წარუდგინოს ბიუჯეტის პროექტი“ (მუხლი 93.1).

სახელმწიფო გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურის განსაზღვრა, შემოღებისა და გადაღვის წესი, აგრეთვე ოდენობის დადგენა კონსტიტუციის თანახმად შხოლოდ კანონით შეიძლება მოხდეს, იგივე წესი ვრცელდება გადასახადებისაგან განთავისუფლებაზე და სახელმწიფო ხაზინიდან ხარჯის გაღებაზე. ამასთან, „პრეზიდენტს შხოლოდ იმ პირობით შეუძლია მოსთხოვოს პარლამენტს დამატებითი სახელმწიფო ხარჯის გადაება, თუ მიუთითებს მისი დაფარვის წყაროს“ (მუხლი 93.3).

საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა შედგება საგადასახადო კოდექსისაგან, რომელიც რამდენიმე უმნიშვნელოვანეს პირიკის განსაზღვრავს:

1) გადასახადის დაბეგერის რევიზიის შეცვლა ხორციელდება კონკრეტული გადასახადის შესახებ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანით;

2) საკანონმდებლო აქტებით, რომლებიც არ არის დაკავშირებული საგადასახადო საკითხებთან, არ შეიძლება განსაზღვრავდეს დაბეგერის განსაკუთრებულ წესს, გადასახადისაგან განთავისუფლებას ან შეღავათების მინიჭებას;

3) აკრძალულია ინდივიდუალური ხასიათის საგადასახადო შეღავათების მინიჭება;

4) არსებობს:

ა) რესპუბლიკური გადასახადები, რომელთა მიზნებით გადასახადით დასაბეგრო ობიექტები, გადასახადის გადამხდელები და დაბეგერის მეთოდი და გადასახადების განაკვეთები, აგრეთვე სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში გადასახადის თანხების ჩარიცხვის წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით;

ბ) ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, რომელთა შემოღება ხდება ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგადასახადო საკითხების რეგულირებაში კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში გადასახადის თანხების ჩარიცხვის წესს.

კონსტიტუციის 95-ე და 96-ე მუხლები ეძღება ეროვნულ ბანკს, რომელიც:

ა) უზრუნველყოფს საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებას;

ბ) შეიმუშავებს და ახორციელებს ფულად-საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკას პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად;

გ) არის ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი, აქვს ფულის ემისიის უფლება;

დ) დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში;

ე) მისი უფლება-მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.

თუმცა ასეთი ორგანული კანონი ჯერ არ არის მიღებული, საბანკო საქმიანობის სფერო საკანონმდებლო ვაკუუმს არ უჩივის, მიღებულია ორი კანონი – “ეროვნული ბანკის შესახებ” და “კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ”, რომლებიც სერიოზულ უფლებამოსილებას ანიჭებენ ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მიმართ.

საქართველოს ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომლის წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 7 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უზრავლესობით ირჩევს პარლამენტი. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენება შეიძლება შხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით იმინისტრების წესით.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით ბანკის საბჭოს წევრთაგან ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს მას თავისი საქმიანობის ანგარიშს.

სახელმწიფო სასსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას შეზღუდვების საქართველოს კონტროლის ავტორია. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა,

წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

კონტროლის პალატა დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ანგარიშგაღებულა პარლამენტის წინაშე. კონტროლის პალატის თავმჯდომარეს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 5 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ნიშნავს პარლამენტი. მისი თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით იმპიჩმენტის წესით.

წელიწადში ორჯერ, ბიუჯეტის შესრულების წინასწარი და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, კონტროლის პალატა პარლამენტს წარუდგენს მოსხენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ხოლო წელიწადში ერთხელ – თავისი საქმიანობის ანგარიშს.

კონტროლის პალატის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი, დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება კანონით "კონტროლის პალატის შესახებ".

სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანიზაციები იქმნება კანონის შესაბამისად.

სარჩევი

იური ტავუცაძე	
ისტორიული წინამძღვრები და ძირითადი პრინციპები.....3	
პასტანგ ხმალადი	
ალამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები.....8	
ფრიდონ სამხარაძე	
ალამიანის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები16	
პასტანგ ხმალადი	
სახელმწიფო ხელისუფლება.....22	
ოთარ ზოიძე	
ალამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონსტიტუციური გარანტიები.....28	
კობა ლავითაშვილი	
სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი.....35	

